

# საქართველოში სახელფასო და საპენსიო პოლიტიკა არ არსებობს!



ამასწინანდელი ოპოზიციური მიტინგების ზეწოლითა თუ გარდაუვალი აუცილებლობით გამოწვეულმა სამთავრობო ცვლილებებმა იმედთან ერთად, გარკვეული სკეპტიციზმიც დაბადა. პრეზიდენტის მიერ ქვეყნის სფრინის პრემიერ-მინისტრად მეტად წარმატებული და უაღრესად პოპულარული ბანკირის შეთავაზება ერთმნიშვნელოვნად პროგრესულ გადაწყვეტილებად იქნა აღიარებული. თუმცა, აქვე გაჩნდა ეჭვი, რომ მთავრობის ძირეული ცვლილებისა და მის მიერ გატარებული ეკონომიკური კურსის სერიოზული გადახედვის გარეშე ქვეყანაში არსებული მწვავე ინფლაციური პროცესების შეჩერება შეუძლებელი იქნება.

რამდენად გადატანინებს ზამთარს ე.წ. „პრეზიდენტის ვაუჩერები“ მოსახლეობას, ბუმერანგივით ხომ არ მოგვიბრუნდება უკან (კიდევ უფრო გალრმავებული ინფლაციის სახით) სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი 2 მილიონ 800 ათასი მოსახლის სფრინარი გამოყოფილი 120 მილიონი ლარი, ან სატირალია თუ საცინარი, ქართული ლარი დოლართან მიმართებაში ასე რომ მყარდება, ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი ლადო ბაბაგა.

— დავიწყოთ იმით, რომ თავად სიღაფაკის ბდევრის თემაა საკმაოდ რთული. როდესაც 2002-2003 წლებში გაითვალა სიღაფაკის ბდევარი და დადგინდა, რომ მის მიღმა საქართველოში მთელი მოსახლეობის 52%-ია, ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აღმოჩნდა. მაგრამ, საინცერესო ის არის, რომ მაღვევე, რევოლუციის შემდეგ, სიღაფაკის ბდევარს მიღმა მყოფი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი 35% გახდა, 2004 წელს კი ეს ციფრი ერთი პროცენტით შემცირდა. შეიძლება ვინმეს ეკონომის, რომ ქვეყანაში თვისობრივად გაუმჯობესდა სოციალური მდგომარეობა და სიღაფაკე შემცირდა. სინამდვილეში კი მთავრობამ შეცვალა სიღაფაკის ბდევრის გათვლის მეთოდოლოგია — შეამცირეს მოხმარებული პროდუქტების კალორიულობა, ანუ სამომხმარებლო კალათა და საბოლოო ჯამში გამოვიდა, რომ სიღაფაკე, თურმე, შემცირებულა. თუმცა, მოვკინებით, 2005-ში, მიუხედავად იმისა, რომ ახალი მეთოდიკით გათვალეს, სიღაფაკის ბდევრულმა მაჩვენებელმა 39%-მდე აიწია. მინდა გათხრათ, რომ 2006 წლის მაჩვენებელი საერ-

თოდ არ გამოუქვეყნებიათ და, ცოტა არ იყოს, მიკვირს, როცა მაღალი ეშელონებიდან მესმის, საქართველოში სიღაფაკის ბლვარს მიღმა 28% ცხოვრობსთ. საერთოდ, ამ ციფრების მე არ მჯერა — უბრალოდ ვიცი, რომ იყო 52%, ხოლო რა ხდება ამის შემდეგ ნამდვილად გაუვეგბარია.

რაც შეეხება ვაუჩერების დარიგებას — მთავრობის გადაწყვეტილება გასაგებია — გამთარი მთახლოვდა და ბუნებრივია, იზრდება ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მოხმარების ოდენობა. გაზის ტარიფი, რესული ფაქტორის გამო, უკვე მოიმატა ამ წლის დასაწყისში, აქედან გამომდინარე, მოსახლეობას ძალიან გაუჭირდება მოხმარებული გაზის და ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, მთავრობა კი ცდილობს, როგორმე შეუმსუბუქოს მას მდგომარეობა. მოსახლეობას ასევე გაუჭირდება შეშის მომარაგებაც, ამას გარდა, სოფლად კევბის პროდუქტების შესყიდვის პრობლემაც დგის და მას, ვისაც გაზი არა აქვს, სანაცვლოდ, კომპენსაციის სახით მთავრობა ფქვილს დაურიგებს. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ,

მეორე მხრივ, რას ნიშნავს იგი? – ეს ნიშნავს, რომ საქართველოში არ არსებობს სახელფასო და საპენსიო პოლიტიკა, ასეთი რამ რომ არსებობდეს, ვაუჩერების გამოყენება არ დაგვჭირდებოდა.

მთავარი კი ის არის, რას მოგვცემს ეს ვაუჩერიზაცია – მართალია, მოსახლეობას ოლნავ შეუმსუბურებება მდგომარეობა, თანაც – მოკლევადიან პერიოდში (რაკილა ვაუჩერებით დაფარავენ მოხმარებული ელექტროენერგიისა და გაბის საფასურს, შეიძენენ შეშას და მიიღებენ უფასო ფქვილს), მაგრამ ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ინფლაციას. რაფომ? იმიტომ რომ, ვაუჩერიზაციით საქონლის მასა შემცირდება. რომ არ დარიგებულიყო ვაუჩერები, ფულის მასით უნდა ყოფილიყო შესყიდული ელექტროენერგია, გაბი, შეშა და ფქვილი. ამჯერად საქონლის მასიდან ეს პროდუქტები ამოვარდა (რაკილა პირდაპირი გადახდა ხდება ბიუჯეტიდან). საბოლოოდ, ფულის მასა მიმოქცევაში რჩება იგივე, საქონლის მასა კი მცირდება. აქედან გამომდინარე, ვაუჩერიზაცია ხელს შეუწყობს ინფლაციას. ეს, რა თქმა უნდა, კარგი არ არის. ვეჭვობ, რომ მთავრობას ეს სრულად ჰქონდეს გააბრებული, რადგანაც, სამწუხაროდ, ამის შესახებ არც ყოფილი პრემიერ-მინისტრი საუბრობდა და ჯერჯერობით, არც ახალი ამბობს რამეს.

**– ბატონი ლადო, ლარის კურსი დოლართან მიზართებაში არაბუნებრივად და საეჭვოდ მყარდება. რასთან გვაჭვს საჭმე და რა გავლენას იქონიებს ლარის კურსის ხელოვნური გამაგრება ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე?**

– თქვენს ქურნალში დაიბეჭდა ჩემი სტატია (რის-თვისაც მაღლობელი ვარ), რომელშიც აქტივი, რაფომ ხდება ლარის კურსის გამყარება. ეს ობიექტური ასახვაა იმისა, რაც ქვეყანაში ხდება. ლარი იმის გამო მყარდება, რომ ქვეყანა მოცულია „პოლანდიური დაავადებით“, ანუ იმით, რომ ქვეყანაში ძალიან დიდი რაოდენობით შემოდის უცხოური ვალუტა, რაც იწვევს მის გაუფასურებას და ეროვნული ვალუტის გამყარებას. ვინც არ იცის, მათთვის მოკლე ვიზუალი, რომ „პოლანდიური დაავადების“ მცნება გაჩნდა წინა საუკუნის 60-იან წლებში. პოლანდიაში, ჩრდილოეთის ბდების, აღმოაჩინეს გაბის დიდი მარაგი, რის შემდეგაც პოლანდიამ დაიწყო მისი ექსპორტი, ქვეყანაში შევიდა დიდი რაოდენობით დოლარი, რამაც გამოიწვია პოლანდიური გულდენის გამყარება დოლართან მიმართებაში. მაგრამ გამყარებული ვალუტა ხელს უშლის ექსპორტს. იმის გამო, რომ პოლანდიამ შეძლო გაბის ექსპორტი, რამაც ქვეყანას მისცა დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა,

შეიმზუდა სხვა საქონლის ექსპორტი. სამაგიეროდ, გამყარებული ვალუტა ხელს უწყობს იმპორტს და ახდენს მის სტატუსირებას. ამ მოვლენას „პოლანდიური დაავადება“ უწოდეს. მოგვიანებით დადასტურდა, რომ, თურქე, მნიშვნელობა არა აქვს, რისი მეშვეობით შემოვდინება ქვეყანაში უცხოური ვალუტა. ჩვენთან ვალუტის მომდგვავება ბევრმა ფაქტორმა გამოიწვია. პირველ რიგში, ეს არის პრივატიზაცია. უცხოელები შემოდიან, იძნენ ქონებას, შემოაქვთ დოლარი, მაგრამ მთავრობას უნდა გადაეხადონ ეროვნული ვალუტა. ამიტომ სავალუტო ბაბარბე უნდა შეიძინონ ლარი, რაც ბუნებრივია, აჩენს დამატებით მოთხოვნას ლარბე. შემდეგი ფაქტორი გახლავთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ანუ როცა უცხოელები არაპრივატიზაციის გზით, პირდაპირ შემოდიან და რაღაც ყიდულობენ, ან აშენებენ; კიდევ ერთი ფაქტორი საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანამოქალაქეების მიერ ქვეყანაში განხორციელებული ფულადი გადმორიცხვებია. 2006 წელს 2000 წელთან შედარებით საბანკო არხებით ფულადი გზავნილები გაიზარდა 5-ჯერ. ყველაფერი ეს ჯამში განაპირობებს იმას, რომ საქართველოში უცხოური ვალუტის სიჭარბე შეიქმნა. ამაბე კორუუციის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიამაც იმოქმედა, როდესაც ყოფილ ჩინოვნიკებს დანაშაულის „გამოსყიდვისათვის“ გარკვეული საფასური უნდა გადაეხადათ. მათ, ბუნებრივია, დანაბოგი ჰქონდათ დოლარში, ხელისუფლებისთვის უნდა გადაეხადათ ლარში, აი, ამანაც გაბარდა მოთხოვნა ლარბე. ასე, რომ საქართველოში საქმე გვაქვს „პოლანდიური დაავადების“ გარკვეულ მოდიურაციასთან. სწორედ ამის შედეგია, რომ ლარი მყარდება. უფრო მეტსაც გეტყვით, ეროვნული ბანკი ცდილობს, რომ ეს გამყარება უმნიშვნელო იყოს. ეროვნულ ბანკს რომ არ შეეძინა დოლარები ბაზრიდან, გამყარება ბევრად მნიშვნელოვანი იქნებოდა. 2005 წლის დასაწყისში ეროვნული ბანკის რეზერვები 200 მილიონი დოლარი იყო, ახლა კი მილიარდ ნახევარია. მილიარდ სამასი მილიონი დოლარი იყიდა ეროვნულმა ბანკმა, ეს ნიშნავს, რომ გაყიდა ლარი. ეროვნულ ბანკს რომ არ შეეძინა დოლარი, შეიძლება დღეს ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში ერთი-ერთგან, ანუ, კიდევ უფრო უარესი ყოფილიყო. მაგრამ, მეორე მხრივ, ლარის გაყიდვით ეროვნულმა ბანკმა ხელი შეუწყო ინფლაციას, ანუ ხელოვნურად დაჭირა კურსი და რაკიდა ხელი შეეწყო ინფლაციურ პროცესებს, აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მთავრობის საქმიანობას. ასეთ შემთხვევებში, ინფლაციის მოსათო

კად მთავრობას ევალება დეფიციტური ბიუჯეტიდან გადავიდეს პროფიციტურ ბიუჯეტზე, ანუ ამოიღოს უფრო მეტი გადასახადები, ვიდრე აქეს ხარჯები. ეს ნაბირდი კი შეინახოს სპეციალურად შექმნილ ფონდში, რომელსაც, შესაძლოა პირობითად სტაბილიზაციის ფონდი ეწოდოს, რითაც ხელს შეუშლის ინფლაციის შემდგომ გაგრძელებას. სამწევაროდ, ჩვენი მთავრობა ამაზე არ მიღის, დეფიციტი 2007 წლის ბიუჯეტში არის 374 მილიონ 200 ათასი ლარი, მომავალი წლის ბიუჯეტში კი – 180 მილიონ 600 ათასი ლარი. ის, რომ ლარი გამყარდა, ეს ობიექტური პროცესია და კიდევ კარგი, რომ ეროვნული ბანკი ცდილობს ამ პროცესის დამტესრუსებას. ეს რომ არა, ძირი გამოეთხრებოდა იმ მინიმალურ შესაძლებლობებსაც კი, რაც დღეს გვაქვს საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში. მინიმალურ შესაძლებლობებს იმიტომ ვამბობ, რომ, მოგეხსენებათ, რუსული ბაზარი, რომელიც წამყვანი იყო ქართული ღვინისა და მინერალური წყლებისათვის, ჯერჯერობით დაკეტილია და, ალბათ, კიდევ დიდანს არ გაიხსნება.

**რაც შეეხება თავად ეროვნულ ბანკს, იქ დღეს ცოგა გაურკვეველი მდგომარეობაა. მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დაფოვა თანამდებობა, მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი დავით ამაღლობელი. მე მას ვიცნობ, როგორც ძალიან ნიჭიერ, კარგ, მაღალპროფესიონალ ბანკირს, მაკროეკონომისტს და მიმაჩნია, რომ ის აღეპვატურია თავის ქმედებებში. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს სჭირდება ლეგიტიმური პრეზიდენტი და არა მოვალეობის შემსრულებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ყოველთვის სერიოზული დარწყმის ქვეშ აღმოჩნდება. თუ დავით ამაღლობელის**

კანდიდატურას წარმოადგენენ პრეზიდენტად, ამ ფაქტს მივესალმები. თავის დროზე გამოვხატე ჩემი დადებითი დამოკიდებულება ლექსი ალექსიშვილის კანდიდატურის მიმართაც. არ ვიცი, ვინ იქნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ამიტომ ჯერჯერობით ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ, ვისურვებ, რომ ეროვნულ ბანკის მაღალ პერსონალს არჩეული პრეზიდენტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყველაფერზე – ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე, საბანკო სისტემაში არსებულ ვითარებაზე და რომელიც ჯანსაღი პარტნიორი და ასევე ჯანსაღი ოპონენტი იქნება საქართველოს მთავრობისთვის.

### – როგორ კომენტარს გაუკეთებთ ახალ სამთავრობო ცელიდებებს, რას მოუტანს საქართველოს ბიზნესმენი პრეზიდენტინისტრი?

– რაც შეეხება ახალ საკადრო ცვლილებებს, ახალ პრეზიდენტინისგრ ლალო გურგენიძეს ვიცნობ 1994 წლიდან, იმ პერიოდიდან, როდესაც მე საქართველოს ეკონომიკის მინისტრად დავინიშნე. იგი მაშინ ახალგაზრდა მკვლევარი იყო, მუშაობდა ნიუ-იორკში, იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტის ანალიტიკისი, ჩამოდიოდა საქართველოში და მასთან ინგენიერი შეხვედრები გვქონდა. გამოქვეყნებული ჰქონდა არაერთი სტატია. მოგვიანებით ის გადაერთო ბიმნესში, საბანკო სექტორში და უკვე მაშინ ჰქონდა კონკრეტული პროექტები საქართველოში. მუშაობდა ცნობილ ბანკ „ეი-ბი-ემ ამროში“. ყოველთვის ვაფასებდი, როგორც მაღალპროფესიონალს. შევთავაზე კიდეც, ხომ არ დაგვეცენებინა საკითხი, რათა იგი ჩამოსულიყო და საქართველოს მთავრობაში დაეკავინა ერთ-ერთი პოსტი. მან უარი მითხოვა ძალიან ბევრი მიზების გამო. როდესაც ის საქართველოში საერთოდ დაბრუნდა და ჩაუდგა „საქართველოს ბანკს“, მასთან არანაირი კონფაქტი აღარ მქონია. ჩემს შეფასებებში გარკვეული კორექტივები შევიტანე მას მერე, რაც ახალი მთავრობა წარმოადგინა დასამტკიცებულად. მინდა გამარჯვებული იყოს, თუმცა, ვეჭვობ წარმატებას მიაღწიოს იმ მთავრობაში, რომელიც გადამწყვეტი სიტყვა კვლავ რჩება კახა ბენდუქიძეს, რომელიც ჩემთვის (და არა მარგო ჩემთვის, ალბათ სრულიად საქართველოსთვის), აბსოლუტურად მიუღებელი, რუსული ბიზნეს-ინტერესების გამტარებელია. ის, რომ მთავრობაში არის საქართველოში ძალგებ არაპოპულარული სახეები, არა მარგო ლალო გურგენიძის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის პრობლემაცაა, განსაკუთრებით, წინასარჩევნოდ.

ილნარ გორგალიშვილი

